



თბილისი კაპიტალი



ლუდი და უალკოჰოლო სასმელები

აგვისტო 2026

ირაკლი ურგებაშვილი

ასოცირებული მკვლევარი, კვლევები

თეა პავლიაშვილი

ანალიტიკოსი, კვლევები

ირინა კვახაძე

უფროსი ვიცე პრეზიდენტი, კვლევები

ძირითადი მიგნებები

2025 წელს ლუდის ქართული მწარმოებლების ბრუნვამ 636 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო 2019-2025 წლებში საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა (CAGR) 12.1% შეადგინა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ადგილობრივი ლუდის წარმოების მოცულობა მცირდება და 2025 წელს 114 მილიონი ლიტრი შეადგინა. მეორე მხრივ, ბოლო წლებში მზარდია ლუდის საშუალო ფასი ერთ ლიტრზე, რაც მწარმოებლების შემოსავლების ზრდას უწყობს ხელს.

მოთხოვნის მხრივ, 2025 წელს ლუდზე მოთხოვნამ საქართველოში რეკორდულ 141 მილიონ ლიტრს მიაღწია, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე მოხმარება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი წარმოება კვლავ მოთხოვნის ძირითად ნაწილს აკმაყოფილებს, იმპორტირებული ლუდის წილი ეტაპობრივად იზრდება.

მნიშვნელოვნად გაზრდილია უალკოჰოლო სასმელების სეგმენტიც. რამდენიმე წლიანი ზრდის შემდეგ, 2025 წელს წარმოების მოცულობა 5%-ით შემცირდა 474 მილიონ ლიტრამდე, თუმცა 2026 წლის პირველი კვარტლის მონაცემები წლის განმავლობაში შესაძლო აღდგენაზე მიუთითებს.

ექსპორტი უალკოჰოლო სასმელების სექტორის ზრდის სულ უფრო მნიშვნელოვან მამოძრავებელ ფაქტორად ყალიბდება - 2025 წელს ექსპორტის მოცულობამ 162 მილიონ ლიტრს მიაღწია, მაშინ როდესაც იმპორტი მეტწილად სტაბილური დარჩა.


მოთხოვნის ფუნდამენტური ფაქტორები ორივე სეგმენტში დადებითია. FMCG-ის და ჰორეკა სექტორის ზრდას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები უწყობს ხელს.

ლუდის და არალკოჰოლური სასმელების სექტორი ოთხ მსხვილ მოთამაშეზე კონცენტრირებულია. მათი შემოსავლები მზარდია და ბოლო 5 წლის განმავლობაში საშუალო ზრდის ტემპმა 8-16% შეადგინა.

FMCG სექტორის შემოსავლები ბოლო სამი წლის განმავლობაში სტაბილურია, 2026 წლის მოლოდინი კი დაახლოებით 6%-ის ფარგლებშია

FMCG ბაზრის ჯამური შემოსავლები

მლრდ. ლარი, დღგ-ს ჩათვლით




წყარო: საქსტატი, სებ, თიბისი კაპიტალი

ხელფასის მიმღებთა რაოდენობის ზრდა ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რაც ადგილობრივი ჰორეკა და FMCG ბაზრების ზრდას შეუწყობს ხელს


ხელფასის მიმღებთა რაოდენობა შემოსავლის ჯგუფების მიხედვით

1,000 ადამიანი, ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით



მოსალოდნელია, რომ ჰორეკა სექტორი, ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების გაყიდვების ერთ-ერთი ძირითადი არხი, ძლიერ ზრდას შეინარჩუნებს

ჰორეკა სექტორის ბრუნვა
მლრდ. ლარი, დღგ-ს ჩათვლით




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

2025 წელს ტურისტულმა შემოსავლებმა 4.7 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო 2026 წლის პირველ ნახევარში მცირედი შემცირება, ჩვენი მოლოდინით, ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის დასრულებასთან ერთად აღდგება


შემოსავლები ტურიზმიდან

მლნ. აშშ დოლარი



ტურისტული ვიზიტები


1,000 ვიზიტი



წყარო: სებ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თიბისი კაპიტალი

საქართველოში 2025 წელს ლუდის მწარმოებელი კომპანიების ბრუნვამ 636 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 2019-25 წლებში 12.1% საშუალო წლიურ ზრდას შეესაბამება

ლუდის მწარმოებელი კომპანიების ბრუნვა
მლნ ლარი, დღგ-ს გარეშე




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: * - წინასწარი მონაცემები

ლუდზე მოთხოვნამ საქართველოში 2025 წელს 141.0 მილიონ ლიტრს მიაღწია.
იმპორტული ლუდის წილი მოხმარებაში წლიდან წლამდე მზარდია

ლუდის მოხმარება საქართველოში

მილიონი ლიტრი






ლუდის მოხმარება საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ბოლო 5 წლის განმავლობაში 21%-ით გაიზარდა

ლუდის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, 15+ მოსახლეობა, 2023

ლიტრი ერთ ადამიანზე




წყარო: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, შემოსავლების სამსახური, თიბისი კაპიტალი;
შენიშვნა: ალკოჰოლის მოცულობა 5% ერთ ლიტრ ლუდზე



ლუდის მოხმარება საქართველოში სეზონურია და პიკს ზაფხულში აღწევს

ლუდის ყოველთვიური მოხმარება საქართველოში

მილიონი ლიტრი




წყარო: შემოსავლების სამსახური, თიბისი კაპიტალი

ლუდის ადგილობრივი წარმოება ბოლო ორი წელია მცირდება და დაახლოებით 2021 წლის დონეზეა. კლება გაგრძელდა მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც გაგრძელდა

ლუდის ადგილობრივი წარმოება საქართველოში


მილიონი ლიტრი



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: * - წინასწარი მონაცემები

მიუხედავად შემცირებული წარმოებული მოცულობისა, ლუდის ფასის ზრდა წარმოებული ლუდის ღირებულებაში აისახა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მცირედი შემცირება 2025 წელს სახეზეა

ადგილობრივად წარმოებული ლუდის ღირებულება
მლნ. ლარი, აქციზის და დღგ-ს გარეშე




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: * - წინასწარი მონაცემები

ადგილობრივად წარმოებული ლუდის ფასი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო 2026 წლის პირველ კვარტალში 3.2 ლარს მიაღწია ერთ ლიტრზე

ადგილობრივად წარმოებული ლუდის ფასი და ინფლაცია ლუდზე


ლარი/ლიტრი, აქციზის და დღგ-ს გარეშე; %



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: * - წინასწარი მონაცემები

ლუდის იმპორტი მზარდია მისი ბაზარზე გაზრდილი წილის გამო, ხოლო ექსპორტი მცირე და კლებადი ტენდენციით ხასიათდება

ლუდის იმპორტი და ექსპორტი '000 ტონა



ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, 2025

იმპორტი

- გერმანია - 30%
- რუსეთი - 14%
- ნიდერლანდები - 12%
- თურქეთი - 8%
- უკრაინა - 7%

ექსპორტი

- ყაზახეთი - 19%
- რუსეთი - 16%
- სომხეთი - 15%
- ისრაელი - 10%
- აზერბაიჯანი - 5%


წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი



საქართველო ერთ ლიტრ იმპორტულ ლუდში უფრო მეტს იხდის, ვიდრე ექსპორტიდან შემოსავლის სახით იღებს

ლუდის საშუალო საიმპორტო და საექსპორტო ფასი


აშშ დოლარი/L



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: * - წინასწარი მონაცემები

2025 წელს არაალკოჰოლური სასმელების წარმოება, პანდემიის შემდეგ, პირველად შემცირდა, თუმცა, 2026 წლის პირველი კვარტალი შესაძლოა აღდგენაზე მიუთითებს


არაალკოჰოლური სასმელების ადგილობრივი წარმოება
მილიონი ლიტრი



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: * - წინასწარი მონაცემები

მიუხედავად 2025 წელს შემცირებული წარმოებისა, წარმოების ღირებულება წლიდან წლამდე მზარდია, რაც გაზრდილ საშუალო ფასზე მიუთითებს


არაალკოჰოლური სასმელების წარმოების ღირებულება მლნ. ლარი, აქციზის და დღგ-ს გამოკლებით



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: * - წინასწარი მონაცემები

არაალკოჰოლური სასმელების ექსპორტი მზარდია და 2025 წელს 162 მილიონ ლიტრს გადააჭარბა, ხოლო იმპორტი მეტ-ნაკლებად სტაბილურია

ვაჭრობა უალკოჰოლო სასმელებით
მილიონი ლიტრი



ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, 2025

იმპორტი


- რუსეთი – 19%
- თურქეთი – 15%
- პოლონეთი – 15%
- უნგრეთი – 9%
- აზერბაიჯანი – 6%

ექსპორტი

- რუსეთი – 36%
- ყაზახეთი – 16%
- აზერბაიჯანი – 15%
- სომხეთი – 11%
- უზბეკეთი – 6%


საქართველოს ბაზარზე ლუდის ოთხი მსხვილი მწარმოებელი კომპანია ოპერირებს. მათი შემოსავლები ბოლო 5 წლის განმავლობაში საშუალოდ 8%-16%-ით იზრდებოდა

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ძირითადი მწარმოებლების შემოსავლები
მლნ. ლარი, აქციზის და დღგ-ს გარეშე



სექტორის საერთო მოგების მარჟა პანდემიის შემდეგ კლებადია, თუმცა, 2024 წელს მცირედ ზრდას ვხედავთ

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ძირითადი მწარმოებლების საერთო მოგების მარჟა




Source: SARAS, TBC Capital; Note: * - Revenue-based weighted average



მიუხედავად იმისა, რომ ქართული კომპანიების საშუალო შეწონილი მოგების მარჟა ევროპულ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება, ზოგადი დინამიკა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შესადარისია

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ძირითადი მწარმოებლების საშუალო შეწონილი საერთო მოგების მარჟა




წყარო: SARAS, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: * - წონები შემოსავლების მიხედვით
ევროპული მწარმოებლების კატეგორია მოიცავს შემდეგ კომპანიებს: AB InBev, Carlsberg, Royal Unibrew, და Diageo

ანალოგიურად, შესადარისია ქართული და ევროპული მწარმოებლების საშუალო შეწონილი debt/EBITDA მაჩვენებელი, გარდა 2020 წელს დაფიქსირებული ერთჯერადი შემთხვევისა

ქართული და ევროპული კომპანიების საშუალო შეწონილი debt/EBITDA მაჩვენებელი


%



წყარო: SARAS, თიბისი კაპიტალი; შენიშვნა: * - წონები შემოსავლების მიხედვით ევროპული მწარმოებლების კატეგორია მოიცავს შემდეგ კომპანიებს: AB InBev, Carlsberg, Royal Unibrew, და Diageo

საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილი ოთხი უმსხვილესი კომპანია ლუდის ბაზრის ბრუნვის დაახლოებით 80%-ს იკავებს

მოქმედი კომპანიების წილები ჯამურ ბრუნვაში %; მლნ. ლარი



სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ები), პარტნიორ(ები), თანამშრომელ(ები), დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ები) ან აგენტ(ები) („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოსწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებებში განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. შესაძლოა მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტირებაში უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას შესაძლო პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.

7 Marjanishvili Str., Tbilisi 0102, Georgia
Tel: +995 32 2 272727 | +995 32 2 272733

Email: Research@tbccapital.ge www.tbccapital.ge
Email: Macro@tbcbank.com.ge www.investing.tbccapital.ge



თბილისი კაპიტალი